

ქუქი-ფაილების პოლიტიკა

შპს სერვისბოქსი იყენებს ქუქი-ფაილებს ვებგვერდის ძირითადი ფუნქციების უზრუნველსაყოფად და თქვენი ონლაინ გამოცდილების გასაუმჯობესებლად.

სერვისბოქსის ვებგვერდზე ვიზიტის დროს, ავტომატურად აქტიურდება მხოლოდ ის ქუქი-ფაილები, რომლებიც აუცილებელია ვებ-გვერდის ფუნქციონირებისათვის. ყველა სხვა ქუქი ფაილი გააქტიურდება მხოლოდ თქვენი თანხმობის საფუძველზე.

წინამდებარე პოლიტიკა აწესრიგებს სერვისბოქსის ვებ-გვერდზე ქუქი-ფაილების გამოყენების წესებს. ეს პოლიტიკა შესაძლოა პერიოდულად განახლდეს, რის თაობაზეც ინფორმაცია აისახება ჩვენს ვებ-გვერდზე. დოკუმენტის პირველ გვერდზე მოცემულია განაცხადის განახლების უკანასკნელი თარიღი.

რა არის ქუქი-ფაილები და როგორ ვიყენებთ მათ:

ქუქი-ფაილები მცირე ზომის ტექსტური ფაილებია, რომლებიც შენს კომპიუტერში ან მობილურ მოწყობილობაში ინახება, როდესაც რომელიმე ვებგვერდს სტუმრობ. ზოგიერთი ქუქი-ფაილი უზრუნველყოფს ვებ-გვერდის სწორ ფუნქციონირებას. ქუქი-ფაილები ასევე ამარტივებენ ვებ-გვერდით სარგებლობის პროცესს, მაგალითად, ინახავენ შენ მიერ არჩეულ ენას, რათა მომავალშიც ვებ-გვერდი იმავე ენაზე გაგიხსნას, იმახსოვრებენ შენს მიერ ვებგვერდზე შევსებულ ინფორმაციას, რომ არ მოგიწიოს მისი მრავალჯერ შევსება. ზოგიერთ ქუქი-ფაილებს ასევე შეუძლია შეინახოს ინფორმაცია შენს ინტერესებზე, რომ შენზე მორგებული, საინტერესო პროდუქტები და სერვისები შემოგთავაზოს.

ჩვენი ვებგვერდი იყენებს „პირველი მხარის ქუქი ფაილებს“, რომლებიც შექმნილია ჩვენ მიერ. სერვისბოქსის ქუქი-ფაილები ემსახურება ჩვენი ვებგვერდის სწორ ფუნქციონირებასა და მისი სარგებლობის გაუმჯობესებას.

ჩვენი ვებ-გვერდი ასევე შეიძლება იყენებდეს „მესამე მხარის ქუქი ფაილებს“, რომლებიც ამარტივებს ვებგვერდზე მუშაობას, ან გამოიყენება მხოლოდ ვებგვერდის მომხმარებელთა შესახებ სტატისტიკური ან მარკეტინგული მონაცემების მისაღებად. ეს ქუქი ფაილები გააქტიურდება მხოლოდ თქვენი თანხმობის შემთხვევაში. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ პირველი ან მესამე მხარის ქუქი-ფაილებს იყენებს სერვისბოქსის ვებგვერდი, შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ მოცემული ქუქი-ფაილების ჩამონათვალში.

ქუქი-ფაილების ხანგრძლივობა:

ქუქი-ფაილები შესაძლებელია დარჩეს შენს კომპიუტერში ან მობილურ მოწყობილობაში სხვადასხვა დროით.სესიის ქუქი-ფაილები შენს მოწყობილობაში

ინახება მხოლოდ იმ პერიოდით, რა პერიოდითაც სარგებლობ ვებგვერდით და ავტომატურად წაიშლება, როგორც კი ბრაუზერს დახურავ. განგრძობადი ქუქი-ფაილები შენს მოწყობილობაში შეიძლება შენარჩუნდეს მას შემდეგაც, რაც დაასრულებ ვებგვერდით სარგებლობას. ინფორმაცია ქუქი-ფაილების ხანგრძლივობის შესახებ შეგიძლიათ იხილო ქვემოთ მოცემულ ქუქი-ფაილების ჩამონათვალში.

ჩვენს ვებგვერდზე გამოყენებული ქუქი-ფაილები და მათი პარამეტრების კონტროლი:

ჩვენს ვებგვერდზე ვიზიტის დროს, ვებგვერდის გამართულად ფუნქციონირებისთვის, ავტომატურად აქტიურდება მხოლოდ აუცილებელი ქუქი-ფაილები, ვინაიდან ამ ტიპის ქუქი-ფაილები აუცილებელია ვებ-გვერდის ძირითადი ფუნქციების უზრუნველსაყოფად.

მათ შესახებ მეტი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ, „აუცილებელი ქუქი-ფაილების“ თავში.

რაც შეეხება სხვა ტიპის ქუქი-ფაილებს, როგორცაა ფუნქციური, სტატისტიკური და მარკეტინგული ქუქი-ფაილები, ისინი აქტიურდება მხოლოდ შენი თანხმობის საფუძველზე, მას შემდეგ, რაც დაეთანხმები მათ გამოყენებას.

მათ შესახებ მეტი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ, შესაბამისი თავში.

ბრაუზერების უმრავლესობა საშუალებას გაძლევს, გამორთო, დაბლოკო ან წაშალო ქუქი-ფაილები, მათ შორის აუცილებელი ქუქი ფაილებიც კი, თუმცა აუცილებელი ქუქი ფაილების დაბლოკვამ ან წაშლამ შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ ჩვენი ვებ-გვერდი არ გაიხსნას, ან არ ფუნქციონირებდეს სათანადოდ.

ქუქი-ფაილების პარამეტრების კონტროლი ხდება ბრაუზერის მენიუდან „Options“ ან „Preferences“ განყოფილებებში:

- Google Chrome: [Turn cookies on or off - Computer - Google Account Help](#)
- Microsoft Edge : [Microsoft Edge, browsing data, and privacy - Microsoft Support](#)
- Opera : [Web preferences - Opera Help](#)
- Apple Safari : [Safari – Official Apple Support](#)
- Mozilla Firefox : [Enhanced Tracking Protection in Firefox for desktop | Firefox Help \(mozilla.org\)](#)

მეტი ინფორმაციისათვის ეწვიე თითოეული ბრაუზერის საინფორმაციო გვერდს შემდეგ ლინკებზე.

ჩვენი ვებგვერდის მიერ გამოყენებული ქუქი-ფაილების აღწერა

ინფორმაცია იმ ქუქი-ფაილების შესახებ, რომელსაც შესაძლებელია იყენებდეს ჩვენი ვებგვერდი მოცემულია ამავე თავში. როგორც აღვნიშნეთ, აუცილებელი ქუქი-ფაილები ყოველთვის აქტიურია, ხოლო ფუნქციური, სტატისტიკური და

მარკეტინგული ქუქი ტიპის ფაილები, მხოლოდ შენი თანხმობის შემდეგ აქტიურდება.

მესამე მხარის ქუქი-ფაილების შესახებ ინფორმაცია ეყრდნობა მესამე მხარეების მიერ საჯაროდ გამოქვეყნებულ ინფორმაციას, რომელზეც სერვისბოქსი არ არის პასუხისმგებელი და რომელიც შესაძლებელია დროთა განმავლობაში შეიცვალოს ან განახლდეს. ამ ინფორმაციის დაზუსტების მიზნით შეგიძლიათ ეწვიოთ შესაბამისი მესამე მხარის ვებ-გვერდს.

1. აუცილებელი ქუქი-ფაილები აუცილებელია ვებგვერდის გამართულად ფუნქციონირებისთვის. მაგალითად, ამ ტიპის ქუქი-ფაილები იძლევიან ვებგვერდის ჩატვირთვის საშუალებას, როდესაც მას სტუმრობ.

| დასახელება | მომწოდებელი | დანიშნულება | ვადის გასვლა |
|-----------------|-------------|---|--------------|
| XSRF-TOKEN | mar.tv | ეს ქუქი-ფაილი გამოიყენება ვებ ფორმების არავტორიზებული ჩარევისგან დასაცავად. ის ინახება მხოლოდ თქვენი მიმდინარე სესიის განმავლობაში. | სესია |
| connect_session | mar.tv | ეს ქუქი-ფაილი გამოიყენება თქვენი სესიის იდენტიფიცირებისთვის და ინახება მხოლოდ თქვენი მიმდინარე სესიის განმავლობაში. | სესია |
| accesstoken | mar.tv | ეს ქუქი-ფაილი გამოიყენება თქვენს პირად ანგარიშში შესასვლელად და ინახება 24 საათის განმავლობაში. | 24 საათი |

1. სტატისტიკური და მარკეტინგული ქუქი-ფაილები - სტატისტიკური ტიპის ქუქი-ფაილებს ვიყენებთ, რომ ვებგვერდის მოხმარება გავხადოთ

კომფორტული და შენზე მორგებული. ამ ტიპის ქუქი-ფაილების გათიშვამ შესაძლებელია ხელი შეგვიშალოს საიტის ფუნქციონალის გაუმჯობესებასა და შენზე მორგებული შეთავაზებების გაკეთებაში, ხოლო მარკეტინგული ქუქი-ფაილებით ვაგროვებთ ინფორმაციას ვიზიტორების ქცევის შესახებ, რომ გავაუმჯობესოთ და შეგიქმნათ შენზე მორგებული სამომხმარებლო გამოცდილება.

| დასახელება | მომწოდებელი | დანიშნულება | ვადის გასვლა |
|------------|-------------|--|--------------|
| _ga | Google | Google Analytics იყენებს ამ ქუქი-ფაილს, რათა გამოთვალოს ვიზიტორების, სესიისა და კამპანიის შესახებ მონაცემები და შექმნას ანალიტიკური ანგარიში ვებგვერდის გამოყენების შესახებ. | 1 წელი |
| _ga_# | Google | ეს ქუქი-ფაილი გამოიყენება Google Analytics-ის მიერ, რათა შეაგროვოს მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენჯერ მოინახულა მომხმარებელმა ვებგვერდი, მიიღოს ინფორმაცია პირველი და ბოლო ვიზიტების თარიღების შესახებ. | 1 წელი |
| _gid | Google | Google Analytics იყენებს ამ ქუქი-ფაილს, რათა გამოთვალოს ვიზიტორების, სესიისა და კამპანიის შესახებ მონაცემები და შექმნას ანალიტიკური ანგარიში | 1 დღე |

| | | ვებგვერდის გამოყენების შესახებ. | |
|-----------|--------|---|--------|
| _gat_UA-* | Google | Google Analytics იყენებს ამ ქუქი-ფაილს, რათა გამოთვალოს ვიზიტორების, სესიისა და კამპანიის შესახებ მონაცემები. | 1 წუთი |